ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი №20

ქ. თბილისი 09.11.2016

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - ,,საქართველო" (MCA Georgia) ,,მასწავლებელთა და სკოლის დირექტორის პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს ,,ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ ფონდ ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
არჩილ სუმბაძე - შპს ,,ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;
გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
დეკანოზი ბასილი (ლ.ფილფანი) - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი;
მზევინარ ჯაფარიძე - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
ნაზია ქალდანი - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მთავარი ბუღალტერი;
მანანა სანაძე - შპს იუჯი სკოლის დირექტორი;
ნატა სტურუა - შპს იუჯი სკოლის კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში;
გვანცა მანია - შპს იუჯი სკოლის იურისტი;

ავთანდილ კიკნაძე - შპს თავისუფალი სკოლის დამფუძნებელი;
ნანული წერეთელი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი;
გიორგი გოგოლაშვილი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის საღმრთო რჯულის პედაგოგი;
იამზე მარუაშვილი - ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
დარეჯან მარგალიტაშვილი - შპს თელავის ევროპული სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერი;
ლალი მელიავა - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს მართლმადიდებლური სკოლის ხელმძღვანელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
თეა შაყულაშვილი;
ლია ბერიძე;
მაკა ტუკვაძე;
დიმიტრი პოპოვი;
ნინო ბალანჩივაძე;
სერგო დურგლიშვილი;
ლელა ფიცხელაური;
ლენა გომართელი;
დავით ჩივაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
ციალა გაგნიძე;
თეა სალუქვაძე;
ნინო ფორჩხიძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
გიორგი ლასხიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:38 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თელავის ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თელავის ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ, სერგო დურგლიშვილმა და ლელა ფიცხელაურმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- შემაჯამებელი დავალებები იყო ერთი ტიპის - ტესტური, რაც უმეტესად ემსახურებოდა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული ანალიზები გახლდათ ზოგადი და ვერ იძლეოდა პრობლემის იდინტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გაკეთებული იყო ერთიანი ფორმით. სკოლის ადმინისტრაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაში, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის თითოეულ საგანში სავალდებულო იყო შემაჯამებელი დავალებები ყოფილიყო მრავალფეროვანი, შემაჯამებელ დავალებას შინაარსითა და სტრუქტურით უნდა მიეცა შედეგის მიღწევის საშუალება. სასურველი იყო შემაჯამებელი დავალებების ანალიზს აესახა მოსწავლის მიღწევები და საჭიროებები. სკოლამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ განსაზღვრულ რეკომენდაციას და მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენებდნენ შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან, სტანდარტის შესაბამის ფორმებს.

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2016-17 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადის დათვალიერებით დადგინდა, რომ პირველ კლასში ამოღებული იყო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პირველი უცხო ენის სწავლება. სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს ესგ-ს შესაბამისი საათობრივი დატვირთვით არჩევით საგნები (X,XI,XII კლასებში 5 სემესტრის განმავლობაში), მაგრამ არ იყო დაკონკრეტებული რომელი საგნების სწავლა შეეძლოთ მათ. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. თუმცა სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში ტარდებოდა: კალათბურთის, ფეხბურთისა და ფრენბურთის გაკვეთილები (წარმოდგენილ იქნა საგნობრივი სილაბუსები). ამასთანავე შენობის ვიზუალური დათვალიერებისას ჩანდა, რომ სკოლას ჰქონდა ზემოაღნიშნული სპორტის სახეობების გაკვეთილების თავისუფლად ჩატარების მატერიალური ბაზა (დახურული სპორტული დარბაზი შესაბამისი ინვენტარით). სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში შეეტანა სათანადო ცვლილებები. კერძოდ, სპორტის სახეობებისა და არჩევითი საგნების შერჩევის, პირველ კლასში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის სავალდებულო სწავლების შესახებ.

(იხ. დანართი №1 დირექტორის ბრძანება №159 სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით).

- სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით ირკვეოდა, რომ 2015-16 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ იქნა კლასიდან კლასში (5-9 კლასებში) გადასაყვანი წლის დამამათვარებელი გამოცდები (თითოეულ კლასში 4-5 საგანში), რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - მუხლი 23². მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები შეფასებული იყვნენ ქულებით, შეფასება არ იყო ასახული სასკოლო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. ასევე მიღებულ შედეგებს გავლენა არ მოუხდენია საგნის საბოლოო ნიშანზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2016-17 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო წლის დამამთვარებელი გამოცდების ჩატარება საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 1-5 კლასებში მოსწავლის შეფასება პერიოდულად ხდებოდა ქულებით, წინასწარ შემუშავებული პირობითი ფერების მიხედვით ან ღიმილებით (სტიკერებით). პირობითი ფერების მიხედვით მოსწავლეთა შეფასება იყო უკვე განმსაზღვრელი შეფასება და ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ: ეროვნული სასწავლო გეგმის მე-17 მუხლის მიხედვით ,,1-5 კლასებში მოსწავლე არ ფასდებოდა ქულებით. აღნიშნულ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელს საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაეწერა მოკლე შემაჯამებელი წერილობითი შეფასება. როდესაც მოხდება მოსწავლის დახასიათება, აღინიშნებოდა მისი წარმატებები და მიეთითებოდა თუ რაში სწირდებოდა მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად." აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაწყებით საფეხურზე აქტიურად გამოეყენებინა მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2016-17 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესში განხორციელდა სატანადო ცვლილებები და აღნიშნული ხარვეზი აღარ ფიქსირდებოდა. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საღვთო სჯულის, ბიბლიის, სამოციქულო ეკლესიის ისტორიის, ხელოვნების, გალობის, ინფორმატიკისა და სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლის ცოდნა განისაზღვრებოდა ჩათვლა/ არ ჩათვლის სისტემით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით წლის ბოლოს მასწავლებელს სემესტრული ნიშნების საფუძველზე გამოჰყავდა საგანში საბოლოო ნიშანი. სკოლის დებულების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: არ იყო აუცილებელი, რომ საგნის წლიური ნიშანი ყოფილიყო სემესტრული ნიშნების ზუსტი საშუალო არითმეტიკული. დასაშვები იყო მინიმალური გადახრა საშუალო არითმეტიკული შედეგის დამრგვალებით, მოსწავლის პორგრესისა თუ რეგრესის გათვალისწინებით, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები აუცილებლად უნდა შეფასებულიყო ქულებით, საგნის წლიური ნიშანი უნდა ყოფილიყო სემესტრული ნიშნების ზუსტი საშუალო არითმეტიკული და არა მოსწავლის პროგრესისა და რეგრესის გათვალისწინებით განსაზღვრული.

- სკოლას შემუშავებული ჰქონდა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების გეგმა, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების კონკრეტული მექანიზმი არ იყო განსაზღვრული. სკოლის თვითშეფასებიდან და წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი დირექტორის, საგნის პედაგოგებისა და დამრიგებლის მიერ. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით უზიარებდნენ ერთმანეთს აზრებს, რაც მიზნად ისახავდა სწავლა/სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენას, მიღებული მონაცემების ანალიზსა და შემდგომ სათანადო რეკომენდაციების განსაზღვრას. სკოლის SWOT ანალიზის საფუძველზე განისაზღვრებოდა დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები. ამასთანავე იგეგმებოდა როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პრიორიტეტები. სკოლას მიეცა

რეკომენდაცია შეემუშავებინა სსგ-ს გაუმჯობესების მექანიზმები, რომელშიც გაიწერებოდა განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დადგინდებოდა სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოების, საგნის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე. სკოლას დასახვეწი ჰქონდა ანგარიშგების სისტემაც, ამიტომ სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია განესაზღვრა ვინ ვის და რა პერიოდულობით მიაწვდიდა ინფორმაციას. ამასთანავე, პერიოდულად კარგი იქნებოდა თუ სკოლაში მოხდებოდა მიმდინარე პროცესის კვლევა/ანალიზი გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისა და სწავლა/სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- სკოლაში იყო სპეციალური საცავი, რომელიც აღჭურვილი იყო პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებითა და სამედიცინო ინევნტარით. ამასთანავე, გაწერილი იყო სკოლის ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც აღნიშნული იყო მისი უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. განსაზღვრული იყო სპეციალური ჟურნალი, რომელშიც გათვალისწინებული იყო წამლების გაცემის აღრიცხვა. სკოლას აღნიშნულ ეტაპზე არ ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი, თუმცა დირექციის განმარტებით მესამე სართულზე გამოყოფილი იყო ოთახი, რომელიც უახლოეს დღეებში სათანადოდ აღიჭურვებოდა. სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 5 კამერა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. გარე პერიმეტრის 1 ვიდეო კამერა, რომელიც შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ხოლო შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებული იყო 4 ვიდეო კამერა. N1 შენობის მთავარ შესასვლელთან დამონტაჟებული იყო ერთი გარე კამერა, რომელიც აკონტროლებდა სკოლის გარე პერიმეტრის მხოლოდ ერთ მხარეს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1143 2007 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით განსაზღვრული მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟებულიყო არანაკლებ 2 ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა (იმ ადგილებზე, სადაც ეს შეუძლებელი იყო – ერთი ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა), ხოლო სათადარიგო გასასვლელების არსებობის შემთხვევაში, 1 ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა თითო გასასვლელზე. სრული კონტროლისათვის აუცილებელი იყო კიდევ 3 გარე კამერა: ერთი N1 შენობის მთავარ შესასვლელთან და ორი N1 და N2 შენობების შესასვლელებთან. ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ N2 შენობა არ იყო აღჭურვილი შიდა კამერებით და სასურველი იყო სამივე სართულზე (პირველ სართულზე მდებარეობდა სპორტდარბაზი) დამონტაჟებულიყო ვიდეო კონტროლის კამერები.

- სკოლას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზი, რომელშიც გაწერილი იყო მხოლოდ სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. არ იყო განსაზღვრული შესაძლებლობები და საფრთხეები. ანალიზში სკოლა თავის ძლიერ მხარეებად მიიჩნევდა: კეთილმოწყობილ მატერიალურ ტექნიკურ გარემოს, სასწავლებლის მაღალ ავტორიტეტს, ჯანსაღ სულიერ გარემოს, დისციპლინურ სასწავლო პროცესს, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, კვალიფიცირებულ კადრებს, სწავლის გადასახადს, საპატრიარქოსგან მიღებულ გრანტს, უფასო წრეობრივ მუშაობას, მოტივირებულ პერსონალს, უფასო ტრანსპორტს. ხოლო თავის სუსტ მხარედ კი არასაკმარისს სასწავლო ფართს, მოუწყობელ ეზოს, კვების ბლოკის

არარსებობას, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ტრენინგების ნაკლებობას, პედაგოგების ნაწილის მხრიდან ახალი ტექნოლოგიების არცოდნას, ფსიქოლოგის მომსახურეობის არქონას, გადასახადის ამოღების რთულ მექანიზმს, სპონსორების მოძიების სირთულეებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განესაზღვრა შესაძლებლობები და საფრთხეები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- სკოლის პედაგოგები შერჩეული იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეესაბამებოდა საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავდა 19 პრაქტიკოსი მასწავლებელი. თუმცა, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა პედაგოგების შერჩევასთან დაკავშირებით (დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათი, დანართი N 3). კერძოდ, ბიოლოგიის პედაგოგმა, რომელიც მოწვეული იყო სხვა სკოლიდან, 2016-2017 სასწავლო წელს ვერ შეძლო დამატებით დატვირთულიყო საათებით. ამასთანავე, რაიონში საბუნებისმეტყველო დარგის პედაგოგი ვერ მოიძებნა, აღნიშნული საგნის სწავლება კი შეითავსა სკოლის დირექტორმა, რომელიც არ იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ანალოგიური პრობლემა შეიქმნა ისტორიის მასწავლებელთან დაკავშირებითაც. რაც შეეხებოდა მუსიკიას პედაგოგს, ის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით დროებით ვერ ახერხებდა სკოლაში სიარულს. ამიტომ მის დაბრუნებამდე სკოლის ადმინისტრაციამ შეარჩია ახალი მასწავლებელი, რომელიც ისტორიისა და ბიოლოგიის პედაგოგების მსგავსად არ იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. აღსანიშნავი იყო, რომ მესტიის რაიონში იყო პედაგოგიური კადრების დეფიციტია. მიუხედავად სკოლის ადმინისტრაციის მონდომებისა - სქემაში ჩართული პრაქტიკოსი პედაგოგები ჰყოლოდა - გამოუვალი ვითარების გამო იძულებული გახდა ხელშეკრულება გაეფორმებინა იმ პედაგოგებთან, რომლებსაც არა ჰქონდათ მინიჭებული პედაგოგის სტატუსი. სკოლის დირექციის განმარტებით, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ თითოეულ პედაგოგს ჰქონდა სკოლაში მუშაობის გამოცდილება, ამასთანავე, ყოველი მათგანი აკმაყოფილებდა სკოლისათვის საჭირო მოთხოვნებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში გამოსწორებულ იქნა რეკომენდაციათა უმრავლესობა, სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდა არჩევითი საგნები, სპორტის სახეობები, ამოღებული საგნები ჩანაცვლებული იყო ქართული ენით. სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობა, რაც დასტურდებოდა მშობლებთან გა საუბრებითაც, სკოლას ჰყავდა ტრანსპორტი რაც უზრუნველყოფდა ბავშვების გადაადგილებას. ასევე სკოლას დაწყებული ჰქონდა ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ სკოლის მისიაში სკოლა მოხსენიებული იყო როგორც ზოგადსაგანმანათლებლო კონფესიური დაწესებულება, ასევე მისია ხელს უწყობდა მოსწავლის მართლმადიდებელ ქრისტიანად ჩამოყალიბებას, მას აინტერესებდა რომელი კანონის ჩარჩოში იჯდა კონფესიური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და თუ არსებობდა ასეთი ცნება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მესტიის რეგიონში მოსახლეობის 100% გახლდათ მართლმადიდებელი ქრისტიანი, სკოლის მისიის შედგენაც უკავშირდებოდა აღნიშნულ ფაქტს, მოსახლეობაში რომ ყოფილიყო სხვა ეროვნების ან აღმსარებლობის მოსახლეობა მისიაში აუცილებლად იქნებოდა შეტანილი ცვლილება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში და სახელწოდებაში არ იყო კონფესიის განმარტება მითითებული.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ კონფესიის ცნებას არ ჰქონდა სახელმწიფო აღიარება. მას ასევე აინტერესებდა საგნები: სამოციქულო ეკლესიის ისტორია, საღვთო სჯული, ბიბლიის ისტორია და სხვა, რა სახის პროგრამებით ისწავლებოდა და სახელმძღვანელოებს თუ ჰქონდათ გრიფირება განათლების სამინისტროსაგან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურა ლიცენზირებული იყო საპატრიარქოს მიერ და გათვლილი იყო ასაკობრივ ჯგუფებზე. საბჭოს წევრი გრიგოლ მურღულია დაინტერესდა რა კრიტერიუმებით ადგენდა საპატრიარქო ასაკობრივ ჯგუფებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული სკოლები ითვალისწინებდნენ ყველა იმ მოთხოვნებს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით იყო გათვალისწინებული, ამავდროულად მხედველობაში მიიღებოდა საპატრიარქოს რეცენზირების სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებიც.

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნები გახლდათ დამატებითი სავალდებულო მომსახურება, კერძო სკოლებს ჰქონდათ აღნიშნულის უფლება, ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა სილაბუსები აღნიშნული პროგრამების. საგნები ეხმარებოდა სკოლას მისიის განხორციელებაში. პროგრამები აკმაყოფილებდა სტანდარტს.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე დაინტერესდა, დასკვნაში ეწერა რომ გასულ სასწავლო წელს ფიქსირდებოდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდის ხარვეზი, ასევე წლიურ ნიშანთანაც იყო პრობლემა, საბჭოს გაკეთდა განცხადება, რომ მითითებული ხარვეზები გამოსწორებულ იქნა დოკუმენტურად და არსებული პრაქტიკა ხარვეზების რამდენ ხანს გრძელდებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დანართის სახით მათ წარმოადგინეს დირექტორის ბრძანებები სადაც ნათლად ჩანდა ცვლილებები. ვიზiტის დროს ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა ერთი სასწავლო წელი.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე დაინტერესდა სასწავლო პროცესი ორგანიზებული იყო სემესტრებად თუ ტრიმესტრებად, ვინაიდან გამოსწორებული ხარვეზის დოკუმენტში მითითებული იყო ტრიმესტრები, ხოლო ორგანიზებული სასწავლო წელი განისაზღვრებოდა სემესტრებად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო წელი დაყოფილი იყო სემესტრებად, დოკუმენტში გაპარული იყო ტექნიკური შეცდომა, გადმოგზავნილ იქნა ძველი დოკუმენტი. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა სემესტრებად რაც დასტურდებოდა ჟურნალებში ასახული მონაცემებითაც.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მასწავლებლების შერჩევაზე არსებული პრობლემა, რომლის არგუმენტიც გახლდათ კადრების დეფიციტი მისი მოსაზრებით არ იყო მართებული, ვინაიდან იგი იცნობდა მესტიის სასწავლო ადამიანურ რესურსს, მესტიაში ფუნქციონირებდა სამი საჯარო სკოლა რომლის მასწავლებლები ასწავლიდნენ ასევე აღნიშნულ სკოლაშიც, რაც მეტყველებდა იმაზე რომ შეუძლებელი იყო მასწავლებლების დეფიციტის არსებობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კონკრეტულ საგნებში, კერძოდ ბიოლოგიაში, ვერსად ვერ მოხერხდა პედაგოგების მობილიზება, რამაც გამოიწვია ის რომ თავად დირექტორი ატარებდა მეშვიდე კლასში ბიოლოგიის გაკვეთილებს, სკოლამ მიმართა წერილით რესურსცენტრს ბიოლოგიის და ისტორიის მასწავლებლებთან დაკავშირებით და მასწავლებელთა პროფესიულ ცენტრში გადაგზავნილ იქნა წერილი რომ იმ პირებს ვინც აღნიშნულ ეტაპზე ახორციელებდნენ დასახელებული საგნების სწავლებას მინიჭებოდათ პრაქტიკოსი პედაგოგის მაძიებლის სტატუსი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პედაგოგისათვის მაძიებლის სტატუსი არ არსებობდა, აღნიშნული პირები კონკრეტულ ეტაპზე ახორციელებდნენ სწავლებას სტატუსის გარეშე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტიპის მოთხოვნა მაძიებლობის გარდამავალ ეტაპთან დაკავშირებით გახლდათ თავად რესურსცენტრის მიერ მოთხოვნილი ფორმა.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მისი რჩევა იქნებოდა გადაეხედათ და შეეცვალათ მისია, ის რაც მასში იყო ასახული არ გახლდათ იმ სკოლის საქმე რომელსაც აფინანსებდა სახელმწიფო, ვინაიდან კონფესიური მისიების დაწესებას ორგანიზების სხვა ფორმა სჭირდებოდა. მისია პირდაპირპროპორციული უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმისა. ასევე მისი რჩევა იყო დამატებითი სავალდებულო საგნები გადაეტანათ არჩევით საგნებში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლოა აღნიშნული გამოწვეული ყოფილიყო მათი გამოუცდელობით, შესაბამისად მითითებული რეკომენდაცია აუცილებლად იქნებოდა გამოსწორებული.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ მიმართა წარმომადგენელს და განუცხადა, რომ აუცილებელი იყო ნებისმიერი ცვლილება, თუნდაც რაიმე არჩევითი საგნის დამატება გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, კერძოდ ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 191-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა გრიგოლ მურღულიამ და გიორგი გახელაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 435891117) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 191-ით.

10

2. შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ, სერგო დურგლიშვილმა და ლელა ფიცხელაურმა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- სადამრიგებლო პროგრამაში და კლასების მიხედვით წარმოდგენილი სადამრიგებლო გეგმებში არ იყო გათვალისწინებული მეწარმეობის მიმართულება, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2015 წელს იყო დამატებული. სკოლის აკადემიური დირექტორის განმარტებით, აღნიშნული მიმართულება კლასის დამრიგებლებისათვის წარმოადგენდა სიახლეს, ამიტომ დამატებული იყო როგორც პროგრამა. სკოლა აღნიშნული მიმართულებით ჩაატარებდა სამუსაო შეხვედრებს კლასის დამრიგებლებთან და მათ ასისტენტებთან, რის შემდეგაც პროგრამას აამუშავებდნენ კლასებში. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამა შემუსავებული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეთათვის, ითვალისწინებდა ყველა კლასს პირველიდან მეთორმეტემდე. გაწერილი იყო თითოეული საფეხურისათვის მისაღწევი მიზნები, თემა, ნაბიჯები, რესურსი, პასუხისმგებელი პირი და სხვა.
- სასურველი იყო სკოლა არ ყოფილიყო ორიენტირებული მხოლოდ აკადემიური მოსწრების შედეგებსა და რეიტინგებზე CAT-სა და ეროვნულ გამოცდებზე. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს ემუშავათ: სწავლა/სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებაზე თბილისსა და ბათუმში; კათედრებს დაეგეგმათ ერთობლივი სამუშაო პროცესი, სადაც უფრო აქტიურად ჩაერთვებოდნენ ბათუმის მასწავლებლები; მეტი აქცენტი გაკეთებულიყო გამჭოლ კომპეტენციებზე და ინტეგრირებულ პროექტებზე.
- სასურველი იყო 2016-17 სასწავლო წლის შემაჯამებელ სამუშაოებსა და მათ ანალიზებში მასწავლებლებს გაეთვალისწინებინათ ესგ-ს მოტხოვნები და წერითი ტიპის დავალებების გარდა უფრო ხშირად გამოეყენებინათ სხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოები, ანალიზის ფორმებში მეტი ყურადღება დაეთმოთ შემაჯამებელი სამუშაოს შედეგად გამოკვეთილი პრობლემის დაკონკრეტებისა და მისი გადაჭრის გზებისათვის, შეედგინათ დავალებები, რომლებიც უფრო მეტად უნარებზე იქნებოდა ორიენტირებული და ნაკლებად ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, შეერჩიათ დავალებების შესაბამისი მისაღწევი შედეგები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გადამოწმდა სამივე სტანდარტი, სამი თბილისში და ორი ბათუმში, სტანდარტებთან მიმართებით სკოლას სერიოზული ხარვეზი არ ჰქონია, იყო რამოდენიმე რეკომენდაცია პროგრამულ ნაწილში, რომელიც ადგილზევე იქნა გამოსწორებული. სკოლა ზრუნავდა პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე, ჩართულები იყვნენ სქემაში, ამავდროულად საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად იყო ოთხი მოდული ორი გახლდათ სავალდებულო მასწავლებლებისათვის და ორი არჩევითი, აღსანიშნავი იყო

რომ აღნიშნული მუშაობა განვითარების კუთხით უტარდებოდათ მხოლოდ თბილისის მასწავლებლებს, ხოლო ბათუმის მასწავლებლები სკაიპის მეშვეობით ერთვებოდნენ აღნიშნულ აქტივობებში. გამოთქმული იყო რეკომენდაცია, რომ ბათუმის მასწავლებლებიც ყოფილიყვნენ აქტიურად ჩართულები.

რაც შეეხებოდა მატერიალურ რესურსს, ორივე ფართზე აკმაყოფილებდა არსებულ სტანდარტს. ბათუმში ყავდათ 33 პედაგოგი, ხოლო თბილისში 37. სკოლას ჰქონდა ძალიან ბევრი წრე, სასურველი იქნებოდა თუ სკოლას ეყოლებოდა თვითმართველობა რაც განავითარებდა მოსწავლეების ინიციატივას და კიდევ უფრო გააქტიურებდა მათ.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა სკოლის ორივე შენობას ჰქონდა თუ არა ლიფტი.

ექსპერტმა უპასუხა რომ ორივე შენობას ჰქონდა ლიფტი, სკოლას ჰყავდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა მის ტექნიკურ გამართულობას.

საბჭოს წევრი გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, დასკვნაში ეწერა, რომ სკოლაში სასწავლო პროგრამა ეყრდნობოდა ოთხ ეგრეთწოდებულ ბოძს, ენები, მათემატიკა სპორტული და სახელოვნებო საგნები. აღნიშნული გახლდათ უბრალოდ დაბეჯითებული პრონციპი თუ არსებობდა შესაბამისი აქტივობები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ იგივე რაც განისაზღვრებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით, მაგრამ ხდებოდა დამატებითი საათების მიცემა მითითებული ოთხი მიმართულებით. აღმზრდელობითი პროგრამა მიყავდა დამრიგებელ პედაგოგს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ინდივიდუალური აქტივობა, ყველა აქტივობა დეტალურად იყო გაწერილი გეგმაში. სკოლას აღმზრდელების გარდა ჰყავდათ ასისტენტები. მიმართულებების მიხედვით ყველა კლასს ჰქონდა თავისი სასწავლო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იყო ასაკობრივი კრიტერიუმებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული საგნების შესწავლა ხდებოდა თუ არა საათობრივი ბადის გაზრდით და იყენებდნენ თუ არა იგივე სახელმძღვანელოებს რითიც ხდებოდა ძირითადი საგნების შესწავლა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხდებოდა იგივე სახელმძღვანელოს გამოყენება, ვინაიდან ხდებოდა ძირითადი საგნების გაჯერება გაძლიერებული ელემენტებით და მასალით. დამატებითი მომსახურება იყო არცევითი. ხოლო ის ოთხი ბოძი რომელიც იყო ნახსენები გადიოდა სავალდებულო საგნებში უბრალოდ ხდებოდა მისი გაძლიერება. დამატებით სავალდებულო საგნებს წარმოადგენდა მაგ: სასცენო ხელოვნება, კითხვის საათი, რუბრკა და გამოყენებითი მათემატიკა და ა.შ. ყველა საგანს ჰქონდა თავისი პროგრამა რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლას ჰყავდა ძალიან კარგი ფსიქოლოგების გუნდი, რომელთაც ასევე ჰქონდათ თავიანთი პროგრამა. სკოლას აღნიშნულ ეტაპზე არ ჰყავდა სსმ მოსწავლე თუმცა ჰქონდა ყველანაირი რესურსი ასეთი მოსწავლისათვის სრული კომფორტის შესაქმენლად.

ექსპერტის განცხადებით სკოლა ითხოვდა 835 მოსწავლის ადგილს, საიდანაც 300 მიეკუთვნებოდა ბათუმის ფილიალს, ხოლო 535 განსაზღვრული იყო თბილისში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 835-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს იუჯი სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205258344) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 835-ით, მათ შორის ქ. თბილისში - 535 და ქ. ბათუმში 300 ადგილით.

3.შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და გიორგი ლასხიშვილმა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა გახლდათ: ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.); დ) პუნქტის მიხედვით კი თითოეული მასწავლებელი ვალდებული იყო შეეგროვებინა და შეენახა მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, როლითაც შეფასდა აღნიშნული დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. ა) და დ) პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის ვალდებულებები სკოლაში სრულად არ იყო დაკმაყოფილებული. შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზები იყო ზოგადი სახის. შემაჯამებელი დავალებების ფორმა ძირითადად იყო ტესტური სახის (ქიმიაში, გეოგრაფიაში, მათემატიკაში), თუმცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გამოყენებული ჰქონდა თხზულების ფორმაც. რაც სეეხებოდა შემაჯამებელი დავალების სეფასების კრიტერიუმებს, აღნიშნულიც იყო ზოგადი და არ იყო მორგებული კონკრეტული შემაჯამებელი დავალების მოთხოვნებს.
- სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით 1-5 კლასებში მოსწავლე არ ფასდებოდა ქულებით. კლასის დამრიგებელი მშობელს, მშობელთა კრებაზე ინდივიდუალურად ურიგებდა მისი შვილის განმავიტარებელ კომენტარებს. თუმცა მასწავლებლები ტესტირებების, საშინაო დავალებებისშეფასებისა და დღიურებში ჩანაწერების გაკეთების დროს მოსწავლეებს უწერდნენ ქულებს. სკოლის პედაგოგებსა და დირექციის წარმომადგენლებს გაეწიათ რეკომენდაცია ეროვნული სასწავლო გეგმის მოტხოვნების პრაქტიკაში დანერგვის ხელშემწყობი მიდგომების განხორციელების შესახებ.
- როგორც გასული 2015-16 სასკოლო სასწავლო გეგმის, ასევე მიმდინარე 2016-17 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში წლის ბოლოს საგნობრივი გამოცდები არ ტარდებოდა, თუმცა მასწავლებლების ფოკუსჯგუფებითა და საკლასო ჟურნალების დათვალიერებით გაირკვა, რომ 5-12 კლასებში ტარდებოდა სემესტრული გამოცდები

(წელიწადში 2-ჯერ) და გამოცდის ნიშანი მოქმედებდა მოსწავლის წლიურ ნიშანზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის შედეგად, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი ვალდებული იყო მშობლებისა და მოსწავლეებისათვის გაეცნო სასკოლო სასწავლო გეგმა და შეფასების კრიტერიუემბიც, თუმცა მოსწავლეებთან და მშობლებთან ფოკუსჯგუფებმა პრაქტიკაში აღნიშნულის გამოყენება არ დაადასტურეს.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- სკოლაში შემუშავებული იყო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას ჰყავდა 24 საათიანი დაცვა, რომელიც აკონტროლებდა სკოლის შესასვლელ ჭიშკარში გადაადგილებას, ჰქონდათ ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რომელთა ჩვენების ასახვა ხდებოდა ტექნოლოგიების კაბინეტში განთავსებულ მონიტორზე. გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერების დამონტაჟება მიმდინარეობდა ვიზტის დროს.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი პედაგოგი ჰყავდა სკოლას დაწყებით საფეხურზე. სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავდა ოთხი პედაგოგი.

თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენელს და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ სკოლა მიიღებდა ავტორიზაციას მათ აუცილებლად უნდა უზრუნველეყოთ დაწყებითი კლასების პედაგოგების დატრეინინგება და ეზრუნათ მათ პროფესიულ განვითარებაზე, რათა აღარ ყოფილიყო სახეზე ისეთი ხარვეზები რაც წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ვინაიდან განმავითარებელი შეფასება გახლდათ უმნიშვნელოვანესი.

საბჭოს წევრი გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ სკოლის მისიაში ეწერა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის შედეგზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობა. რა უფრო მთავარი იყო ხელშეწყობა თუ სწავლება, ხელს უწყობდნენ სწავლებას თუ ასწავლიდნენ. საინტერესო იყო კიდევ ექსპერტთა რეკომენდაცია შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით თუ იყო გასწორებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის უპირველესი მიზანი მისიიდან გამომდინარე გახლდათ პირველ რიგში სწავლა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გამოსწორება ვერ მოხდებოდა იოლად, სკოლას ესაჭირეობა კომპეტენტური ადამიანი, რომელიც მათ დაეხმარებოდა კონკრეტული სტრატეგიების დაგეგმვაში და განხორციელებაში.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ დასკვნაში ეწერა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პრინციპები, მან თხოვნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაესახელებინა რამოდენიმე პრინციპი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პრინციპებში იგულისხმებოდა ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცედურები მაგ: მშობელთა გამოკითხვები, ანალიზები და სხვ. ფაქტი იყო, რომ გარკვეული მეთოდები არ იყო გამოყენებული რაც შემდგომში ხელს უშლიდა ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებას. პრინციპები ზოგადად ფასდებოდა ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, მიღებული შედეგებით იგეგმებოდა სამომავლო მოქმედებები. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი ამუშავებდა სკოლაში არსებული ანონიმური წერილების ყუთს, რომელსაც შემდგომ უკეთდებოდა ანალიზი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თავისუფალ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 430024939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 240-ით.

4. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და გიორგი ლასხიშვილმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ლენა გომართელმა და დავით ჩივაძემ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

-სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო წარმოდგენილი სკოლაში არსებული რესურსების სრული ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად. აღნიშნული ჩამონათვალის სრული სია შეიქმნა ვიზიტის პერიოდში და ჩადებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ცხრილის შესაბამისად, რომელიც გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილას, თუმცა საათობრივი ბადე სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად არ იყო წარმოდგენილი. სასკოლო საათობრივი ბადე ცალკე დოკუმენტად შექმნილი იყო და დამატებული სასკოლო გეგმას ვიზიტის პერიოდში.

- გასაუბრებებითა და დაკვირვებით აღმოჩენილ იქნა, რომ სკოლა საბაზო/საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სპორტის სამ სახეობას სთავაზობდა: კალათბურთი, ფრენბურთი და ფეხბურთი. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმასა და მასწავლებელთა თემატურ გეგმებში სპორტის სახეობები არ იყო დაკონკრეტებული, რის თაობაზეც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

- გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაო აღედგინათ სკოლაში დაბრუნებიდან ერთი კვირის ვადაში, თუმცა აღდგენის პროცედურები და ჩატარების ფორმა არ იყო გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში. შემაჯამებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ცვლილება სსგ-ში შეტანილ იქნა ვიზიტის პერიოდში.

- სასკოლო გეგმაში იკითხებოდა, რომ თუ საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლე სემსტრის განმავლობაში გააცდენდა კონკრეტული საგნისათვის ერთი სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების ¼ და მეტს, მაგრამ ½-ზე ნაკლებს, მისი საგნის სემესტრულ ქულას დააკლდებოდა 30%. თუ მოსწავლეს არ დააკმაყოფილებდა მიღებული შეფასება მას მიეცემოდა საშუალება გასულიყო სკოლის მიერ ორგანიზებულ სემსტრულ გამოცდაზე. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს მუხლი-35, პუნქტი პირველი. თუმცა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ მსგავს შემთხვევას სკოლაში არასოდეს ჰქონია ადგილი. სასკოლო სასწავლო გეგმის აღნიშნული თავის მიხედვით, სკოლაში დანიშნული იყო წლიური გამოცდები: 7-8 კლასებში 2 საგანში, 9-10 კლასებში 3 საგანში. ერთი კლასის ფარგლებში, ერთსა და იმავე

18

საგანში დაცული იყო ორწლიანი შუალედი. ეროვნული სასწავლო გეგმის 23^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა ყოფილიყო ორწლიანი შუალედი, შესაბამისად სკოლაში აღნიშნული მუხლი ნაწილობრივ იყო დაცული.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა (ს/კ 215613361) მდებარეობდა ქ. ჭიათურაში, ერისთავის ქ. №1-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. დაწესებულება 24.09.2009 წელს დარეგისტრირებულ იქნა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ როგორც ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის პროფესიული სწავლების ცენტრი. დამფუძნებლის სრულიად საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის გადაწყვეტილებით 2010 წლის 17 დეკემბერს სკოლას ეწოდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა. მიუხედავად აღნიშნულისა საჯარო რეესტრის ამონაწერში (ს/კ 38.10.18.011) დაწესებულება კვალვ იხსენიებოდა როგორც წმინდა ანდრია პიველწოდებულის სახელობის ჭიათურის პროფესიული სწავლების ცენტრი.
- 2012-13 წლებში სკოლის შენობას მიაშენეს სამსართულიანი ნაგებობა, რომლის ფართი შეადგენდა 300,96 კვ.მ და სასწავლო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ფართი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.
- სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება წყალმომარაგების კომპანიასთან, თუმცა ქალაქში არ იყო უწყვეტი წყალმომარაგება, რის გამოც სკოლა სარგებლობდა წყლის დაგროვების ავზით.
- სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლეები. სკოლის პირველ სართულზე ასასვლელად(შენობის უკანა შესასვლელიდან) დამონტაჟებული იყო პანდუსები, სკოლას ასევე ჰქონდა გასაშლელი პანდუსები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთთან დააკავშირებდა პირველ და მეორე სართულს. სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. პირველ სართულზე იყო ფართი, სადაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აღნიშნულთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია.
- სკოლისათვის მიშენებულ სამ სართულიან ნაგებობაში არ იყო დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია ნაგებობის პირველ და მეორე სართულზე (სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი), ასევე შესასვლელში დაემონტაჟებინათ ვიდეოთვალი.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- სკოლის დაწყებით, საშუალო და საბაო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა 45 პედაგოგი. მათგან 25 უფროსი, პრაქტიკოს 18. 2 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი. აღნიშნული პირები სკოლაში დასაქმებული იყვნენ 2016 წლის სექტემბრიდან. დირექტორს გაგზავნილი ჰქონდა წერილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომლითაც ითხოვდა ახლადდასაქმებული ორი მასწავლებლის სქემაში ჩართვას.

- სკოლა ჩართული იყო ,,მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში", არსებობდა დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნისა და შესაბამისი დებულება. სკოლაში მუშაობდა შიდასასკოლო შეფასების ჯგუფი, რაც დასტურდებოდა დირექტორის ბრძანებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების ჯგუფის დაკომპლექტების თაობაზე პედაგოგიური საბჭოს ოქმი, რისთვისაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა, CAT-ის გამოცდებში განსაზღვრულ იქნა ორი საგანი სამიც ნაცვლად, დამონტაჟებული იქნა ახალ შენობაზე ვიდეოკამერები რის დასტურადაც შეეძლოთ წარმოედგინათ როგორც ფინანსური დოკუმენტაცია ასევე ფოტომასალა.

საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე დაინტერესდა ვინაიდან დასკვნაში ეწერა, რომ მუსიკის ერთი საათი ეთმობოდა სხვა საგანს, აღნიშნული გაწერილი იყო დოკუმენტურად თუ არა ვინაიდან საჭირო იყო სპეციალური ნებართვა .

ექსპერტმა განაცხადა, რომ მუსიკის საათების 20% ეთმობოდა გალობასა და საღმრთო სჯულს, შეესაბამებოდა მუსიკის სტანდარტს და ფასდებოდა განმავითარებელი შეფასებით, ხოლო თავად მუსიკა ფასდებოდა განმსაზღვრელი შეფასებით.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ ასევე განაცხადა, რომ მისიაში ეწერა შემდეგი ფრაზა: სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხის მორგებულ ვარიანტს მოიცავდა სასწავლო პორცესი. მისთვის გაუგებარი იყო აღნიშნული ფორმულირება და მოითხოვა მისი განმარტება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტანდარტიდან გამომდინარე როგორ უნდა მიეღწიათ შედეგისათვის მის მიხედვით იგებოდა მისია.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ მისიაში აგრეთვე ეწერა რომ ინტელექტუალური, ზნეობრივი წვრთნით ჭეშმარიტებასთან ზიარებაში მოსწავლეს სკოლის პედაგოგთან ერთად ეხმარებოდა სკოლის მოძღვარი. მისი აზრით სკოლის ამოცანა არ გახლდათ ჭეშმარიტებასთან ზიარება და ვერც იქნებოდა ასე, აღნიშნული წარმოადგენდა ეკლესიის საქმესმ მან ასევე მიმართა ექსპერტებს ეზრუნათ, რომ საბჭო გაცნობოდა მხოლოდ გრამატიკულად გამართულ მისიას.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ სასურველი იყო მისია ყოფილიყო ლაკონური და კონკრეტული, ვინაიდან რაც უფრო მეტი ჩაიწერებოდა შიგნით მით უფრო ბუნდოვანი იქნებოდა აზრის გამოტანა.

თავმჯდომარემ წარმომადგენლებს მიმართა რომ მთავარი საკითხი გახლდათ მათი მისიის კორექტირება, გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ სავალდებულო საგნების ხარჯზე ისწავლებოდა დამატებითი სავალდებულო საგნები, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მნიშვნელოვანი იყო შეფასების საკითხებიც. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება მიიღებდა ავტორიზაციას საბჭო ცენტრთან დააყენებდა შუამდგომლობას გონივრულ ვადაში განხორციელებულიყო მონიტორინგი ცენტრის მიერ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა გრიგოლ მურღულიამ, მარინა უშვერიძემ და არჩილ სუმბაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 215613361) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

5. შპს თელავის ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და დიმიტრი პოპოვმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სკოლაში განხორციელებულ იქნა მონიტორინგი ფართის ცვლილებიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფს ევალებოდა მხოლოდ მატერიალური რესურსის გადამოწმება. სკოლა მდებარეობდა ქ. თელავში ერეკლე II - ს გამზირის პირველ ნომერში, სკოლა განთავსებული იყო ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, 332.5 კვ.მ-ზე, ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი, იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2016 წლის 19 ივნისიდან 2020 წლის 1 აგვისტომდე. სკოლაში იყო 5 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელითა და სველი წერტილით, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და დირექტორის ოთახი. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტაციით სკოლას ჰქონდა 50 ინდივიდუალური მერხი და სკამი, 5 მასწავლებლის მაგიდა, 5 დაფა, 5 კომპიუტერი, 1 პროექტორი და 1 პრინტერი. დატვირთული იყო მხოლოდ 4 ოთახი, ჰყავდათ 26 მოსწავლე. სკოლა ახორციელებდა მხოლოდ საშუალო საფეხურს. სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები, სკოლის შესასვლელში დამოტაჟებული იყო ვიდეოკამერები.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა თუ როგორი იყო დაწესებულების წინა მდგომარეობა, რამდენი მოსწავლე ყავდათ და რამხელა ფართს ფლობდნენ, ვინაიდან მათი საკითხის განხილვაზე იგი გახლდათ საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადრე ჰყავდათ 9 მოსწავლე თითო კლასში. ისინი არ ითხოვდნენ დამტკიცებული კონტიგენტის გაზრდას აღნიშნულ ეტაპზე, ხოლო სამომვლად თუ მოთხოვნა იქნებოდა სავარაუდოდ იფიქრებდნენ ასეთზე. შენობის პირველი სართული აღნიშნულ ეტაპზე იყო ცარიელი და იყო ასათვისებელი.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ დასკვნის თანახმად სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ექიმთთან, მხოლოდ ვიზიტის შემდგომ დირექციამ სკოლის ისტ მენეჯერეს დაავალა სამედიცინო ოთახის ხელმძღვანელობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პირი მეთვალყურეობდა სამედიცინო ოთახს, განსაზღვრა მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. ექიმთან ხელშეკრულება არ ჰქონიათ განსაზღვრული.

წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჰყავდათ ექიმი, ჰქონდათ გაფორემბული ხელშეკრულება, რომელიც საბჭოს სხდომაზე არ ჰქონდათ წამოღებული, თუმცა ექსპერტის განმარტებით მათ ვიზიტის პერიოდში ასეთი ხელშეკრულება არ უნახავთ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თელავის ევროპულ სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -9

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თელავის ევროპული სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 431171509) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თეა შაყულაშვილმა და ლია ბერიძემ. ექსპერტმა ლია ბერიძემ განაცხადა, რომ სკოლას შეცვლილი ჰქონდა მისამართი, რაც გახდა მონიტორინგის საფუძველი. სტანდარტის შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირის №170-ში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა ოთხსართულიან შენობას, იჯარა გაფორმებული იყო სამი წლის ვადით. სკოლა ფლობდა 21 საკლასო ოთახს, სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახს, სასადილოს, სამასწავლებლოს, დირექტოროის ოთახს. სკოლას ჰქონდა 340 ინდივიდუალური მერხი შესაბამისი სკამით, ყველა კლასი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით. ერთადერთი რეკომენდაცია რაც დაფიქსირდა შეეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში სველი წერტილის და გამწოვის არ ქონა, თუმცა ვიზტის შემდგომ რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ლაბორატორია იყო გამართული. ადაპტირებული სველი წერტილი ჰქონდათ მხოლოდ პირველ სართულზე, მიეცათ რეკომენდაცია სხვა სართულებზეც მოეხდინათ სველი წერტილების ადაპტირება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204571588) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე